შემოსავლების
სამსახური

საბაჟო დეპარტამენტი

ბრძანება N 25129

14/05/2014

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების - სასაქონლო ნიშნების „ჩემი ოჯახი MY FAMILY МОЯ СЕМЬЯ“, „МОЯ Семья“ და „МОЯ СЕМЬЯ“ სსიპ _ შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის, შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ1“ ქვეპუნქტისა და შპს „სანტრეიდის“ დირექტორის მ/წლის 8 აპრილის N 48672/21 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში დარეგისტრირდეს შპს „სანტრეიდის“ (მის.: თბილისი, ვარკეთილი-3, III ა მ/რ, კორპუსი 340, ბინა 8) კუთვნილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები - სასაქონლო ნიშნები „ჩემი ოჯახი MY FAMILY МОЯ СЕМЬЯ“ (რეგისტრაციის №22443), “МОЯ Семья“ (რეგისტრაციის №22114) და „МОЯ СЕМЬЯ“ (რეგისტრაციის №23515).

2. სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 2 (ორი) წელი ამ ბრძანების ძალაში შესვლის თარიღიდან.

3. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს შემოსავლების სამსახურში (მის.: ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. №16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) ერთი თვის ვადაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ვლადიმერ ხუნდაძე

საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი